

**ბრძანება №3/136**

**17. 06. 2011წ.**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008  
წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანების დანართი №1 და №2-ში ცვლილების  
შეტანის თაობაზე**

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2011 წლის 2  
ივნისის №01-13/128 კორესპონდენციისა და „საქართველოს ზოგადი  
ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად,

**ვძრძნებ:**

1. ქ. ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის  
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ  
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008  
წლის 16 ივლისის №3/165 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე  
2008 წ. №31) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

დანართში შეტანილი რიგითი ნომერი 97 და კულტურული  
მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №020102068,  
ნაცვლად „ქუთაისის ქ.№22/ფარნავაზი მეფის ქ. №11“-სა, ჩამოყალიბდეს  
შემდეგი რედაქციით – „ქუთაისის ქ. №18“.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების  
კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების  
ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული  
ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.


ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ  
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ.  
თბილისი, პავლე ინგოროვას ქუჩა №7).

მინისტრი

ნიკოლოზ რურუა

დანართი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო  
ბარათი № 020102068



1. სახელწოდება - საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. №22 /ფარნავაზ მეფის ქ. №11
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - 1953 წ.